ოქმი:ო63.6322161001

თარიღი:10/06/2022

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**სხდომის**

**ო ქ მ ი N 11**

**ქ. სამტრედია. 6 ივნისი, 2022 წელი.**

2022 წლის 6 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თავზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, ლაშა გრიგოლია.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე; საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. დაგეგმვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.

2. სამტრედიის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე;

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია.

5. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.

7. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე. სპეციალისტი, გიორგი მელქაძე.

9. შ.პ.ს. ,,tech Suppli''-ს ხელმძღვანელი, ემელიანე კილაძე.

10. ტელე კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების შესახებ.

**/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/**

2. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, აპრილის თვის შესრულების ანალიზის შესახებ.

**/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/**

3. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–**438728708**) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე .

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/**

4. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - ექსკავატორის, (მარკა-JCB, მოდელი-3CX14M2WM, სატრანსპორტო საშუალების სიდენტიფიკაციო ნომერი-JCB3CX4TCH2514313, რეგისტრაციის ნომერი-OO895G) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–**438728708**) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/**

5. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - თვითმცლელის, (მარკა-MAZ, მოდელი-5551, საიდენტიფიკაციო ნომერი-Y3M5551A2J0005080, რეგისტრაციის ნომერი-UO398OO) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–**438728708**) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/**

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე, 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/**

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე, 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აპრილის №38 46 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/**

8. ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/**

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

10. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათადაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

11. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

12. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

13. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

14. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მესამე პირებისათვის, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას, ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

17. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

18. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

19. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად

შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

20. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო’’-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/**

21. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან მაისის ჩათვლით, სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.**

**თანამომხსენებელი: საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. გ. ლეჟავა/**

**22. სხვადასხვა.**

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ნუგზარ ჯამბურიამ მიმართა საკრებულოს წევრებს - ,,ბატონო კოლეგებო! ვიდრე დავიწყებთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების, რეგლამენტის დაცვით განხილვას, რამდენიმე წუთით მივიპყრობ თქვენს ყურადღებას. ვფიქრობ ამის საშუალებას თქვენგან მივიღებ, თემა ძალიან სასიამოვნო გახლავს. გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2022 წლის 16 მაისის N58/6 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს, ქალაქ სამტრედიის რესურსცენტრს დაქვემდებარებულ ს.ს.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლას მიენიჭა, სამშობლოს დაცვის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო პირის, ტარიელ ჩანჩუას სახელი. ამიერიდან სკოლის დასახელებაა: ,,ტარიელ ჩანჩუას სახელობის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლა’’.

ბატონო კოლეგებო! ნება მომეცით თქვენი სახელით მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის IV და V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის ყოფილ და მოქმედ წევრებს გაწეული მუშაობისათვის. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა დაიწყო 2021 წლის აგვისტოს თვეში, როგორც მოგახსენეთ საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი და დაკმაყოფილებული საქართველოს ბიზნესის მეცნიერთა აკადემიის, დაბლა გომის მცხოვრები მოქალაქის ( ვერა ნიკურაძე) და აღნიშნული სკოლის სამეურვეო საბჭოს განცხადება. წარმატება ვუსურვოთ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და მათ შემოქმედებით ჯგუფს, მომავალი თაობის აღზრდის მეტად რთულ, საპასუხისმგებლო და ეროვნულ საქმეში.

აღნიშნული სასიხარულო ინფორმაციის მიღების შემდგომ, საკრებულოს წევრებმა თავიანთი ემოცია ტაშით გამოხატეს.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N: 62-622213874, წერილობითი მომართვა ეხება, “საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შეტანილ ცვლილებას. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 მაისის N787 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში, მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები გაიზარდა. კერძოდ, თანხა გაიზარდა სულ 25.0 ათ. ლარით. საერთო ჯამში თანხა განისაზღვრა სულ 3,736.4 ათ. ლარის ოდენობით. მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობის განკარგულებით გაიზარდა 21.0 ათ. ლარით და 3,588.4 ათ. ლარს შეადგენს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება გაიზარდა 4.0 ათ. ლარით და შეადგენს - 148.0 ათ. ლარს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის №62.6222138001 18/05/2022 ბრძანებით, დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 მაისის N57 დადგენილება, კერძოდ, ***შემცირდა:***

- (კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - სულ 17.4 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 16.6 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 0.8 ათ. ლარით;

- (კოდი 02 03 05) ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების გეგმა სულ - 12.4 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობით - 12,0 ათ. ლარით, გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ხოლო თანადაფინანსება - 0.4 ათ. ლარით;

- (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა სულ - 9.3 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 8.8 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 0.5 ათ. ლარით;

შესაბამისად ***გაიზარდა:***

- (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა სულ - 64.1 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 58.4 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 5.7 ათ. ლარით;

აზრი გამოთქვა; გივი ჯულაყიძემ.

გივი ჯულაყიძე - მაინტერესებს, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა წარმოდგენილია სულ - 64.1 ათ. ლარით, განსაზღვრულია თუ არა კონკრეტულად რა პროექტზე ვხარჯავთ ამ თანხას, არის თუ არა განსაზღვრული?

ზურაბ გოგიამ უპასუხა - მცირდება ტროტუარის სიგანე და იზრდება გზის სავალი ნაწილის სიგანე, ჯერ-ჯერობით ეს არის წინადადება, ამის შემდგომ გაკეთდება პროექტი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

***დაადგინეს:*** ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების შესახებ, მიღებულია ცნობად.

***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 მაისის** N: 62-622212528, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, აპრილის თვის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 1659,2 ათასი ლარით.

ოთხ თვეში ბიუჯეტის მიმართ ორჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 29000,8 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 10243,0 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 3567,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სოფელ ნაბაკევში რეკრიაციულ-დასასვენებელი სივრცის მოსაწყობად ასევე სოფ. დიდ ჯიხაიშში, ღანირში და კორმაღალში ასფალტო-ბეტონის საფარის დასაგებად გამოეყო - 2254,2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით,

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგირთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის, უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 302,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -660,0 ათასი ლარი.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი , საიდანაც განაწილდა 4047,4 ათ.ლარი. .

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის აპრილის თვის შემოსავალმა შეადგინა 7179,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 79,4 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 4403,0 ათასი ლარი, რაც აპრილის თვის გეგმის 88,1 %-ია, დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 4163,3 ათასი ლარი გეგმა შესრულდა-90,0 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 40,8 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 24,2%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 198,9 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -99,5 %-ით.

აზრი გამოთქვა: აკაკი მინაშვილმა.

აკაკი მინაშვილი - მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიწის გადასახადიდან მიღებულია - 40,8 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 24,2%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 198,9 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -99,5 %-ით. რით არის გამოწვეული ქონების გადასახადის ასეთი მაღალი პროცენტი?

დავით ბაღდავაძემ უპასუხა, რომ ქონების გადასახადი შეივსო უცხოური საწარმოებიდან შემოსული გადასახადებით, მიწის გადასახადს კი აგვიანდება და ძირითადად შეივსება წლის ბოლოს.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

***დაადგინეს:*** ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, აპრილის თვის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

***დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე '' და **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N : 62-622213879 , წერილობითი მომართვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. გამწვანებისა და კეთილმოწყობის

სამსახური, სამტრედიის მუნიციპალიტეტში არის ერთ-ერთი წარმატებული და აქტიური დაწესებულება. წლების განმავლობაში, გაერთიანებას იჯარით სარგებლობაში გადაეცემოდა სატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნულთან დაკავშირებით იმსჯელა მერიამ და საკრებულომ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ დღეს წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალებები გრეიდერი, ექსკავატორი და თვითმცლელი გადაეცეს გაერთიანებას მისი არსებობის მანძილზე. შესაბამისად საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს, (საიდენტიფიკაციო კოდი–**438728708**) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, გადასცეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - გრეიდერი (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745).

- ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს, მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - გრეიდერი, (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745), თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) არსებობის ვადით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე ''.

***დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - ექსკავატორის, (მარკა-JCB, მოდელი-3CX14M2WM, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი- JCB3CX4TCH2514313, რეგისტრაციის ნომერი-OO895G) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' და **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N : 62-622213879 , წერილობითი მომართვა.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს, (საიდენტიფიკაციო კოდი–**438728708**) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, გადასცეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - ექსკავატორი (მარკა-JCB, მოდელი-3CX14M2WM, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი- JCB3CX4TCH2514313, რეგისტრაციის ნომერი-OO895G).

- ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს, მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - ექსკავატორი (მარკა-JCB, მოდელი-3CX14M2WM, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი-JCB3CX4TCH2514313, რეგისტრაციის ნომერი-OO895G), თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) არსებობის ვადით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - ექსკავატორის, (მარკა-JCB, მოდელი-3CX14M2WM, სატრანსპორტო საშუალების სიდენტიფიკაციო ნომერი-JCB3CX4TCH2514313, რეგისტრაციის ნომერი-OO895G) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

***დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - თვითმცლელის, (მარკა-MAZ, მოდელი-5551, საიდენტიფიკაციო ნომერი-Y3M5551A2J0005080, რეგისტრაციის ნომერი-UO398OO) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს, (საიდენტიფიკაციო კოდი–**438728708**) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, გადასცეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - თვითმცლელი (მარკა-MAZ, მოდელი-5551, საიდენტიფიკაციო ნომერი-Y3M5551A2J0005080, რეგისტრაციის ნომერი-UO398OO).

- ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და

კეთილმოწყობის გაერთიანება”–ს, მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - თვითმცლელი (მარკა-MAZ, მოდელი-5551, საიდენტიფიკაციო ნომერი-Y3M5551A2J0005080, რეგისტრაციის ნომერი-UO398OO), თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება”–ს (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) არსებობის ვადით.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - თვითმცლელის, (მარკა-MAZ, მოდელი-5551, საიდენტიფიკაციო ნომერი-Y3M5551A2J0005080, რეგისტრაციის ნომერი-UO398OO) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება”–სათვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

***დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ’’.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხორციელდება იჯარის განკარგულებაში ჩანაცვლების პროცესი. მიზეზი ამ ჩანაცვლებისა არის ის, რომ მოჯარემ ჯანმრთელობის და ოჯახური პირობების გამო ვერ შეძლო იჯარის გადახდა და მისცა უფლება იმავე სოფლის მკვიდრს, გადაიხადოს არსებული დავალიანება და მოახდინოს იჯარის ხელშეკრულებაში ჩანაცვლება. ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაზე მსჯელობისას გაირკვა, რომ ჩამნაცვლებელმა, გოგა კიკაჩეიშვილმა არა მარტო დაფარა არსებული დავალიანება, არამედ წინსწრებით გადაიხადა საიჯარო თანხა. შესაბამისად, მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე, 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში ნატალია ჩაჩუას, ჩაენაცვლოს გოგა კიკაჩეიშვილი, იგივე პირობებით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ’’.

***დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე, 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აპრილის №38 46 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე, 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აპრილის

№38 46 განკარგულება.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 50884.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.48.235) 2016 წლის 31 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აპრილის №38 46 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''.

***დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებში გვაქვს მცირედი ცვლილება. ძირითადად ცვლილება ეხება სოფელ ეწერში განსახორციელებელ პროექტებს. საპროექტო წინადადებების უფრო დეტალური შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეულ პროექტებზე საორიენტაციო თანხების კორექტირების საჭიროება. თანხა რჩება უცვლელი, შეიცვალა თანხის მოცულობა პროექტის შიგნით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები (დანართი №1) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**დანართი №1**

**2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები**

| № | სოფელი | პროექტის დასახელება | საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა | თანადაფინანსება | პროექტის ღირებულება | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ბაში | ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების მოსაწყობად მასალების შეძენა | 1 000 | 0 | 1000 | 0 |
| 2 | ბაში | გარე განათების მოწყობა | 19 000 | 0 | 18525 | 475 |
| 3 | იანეთი | გარე განათების მოწყობა | 20 000 | 0 | 19500 | 500 |
| 4 | დიდი ჯიხაიში | სერგეთის უბანში სანიაღვრე არხის გაჭრა | 10 000 | 6 000 | 15600 | 400 |
| 5 | დიდი ჯიხაიში | გარე განათების მოწყობა 26-ე (ჩიხებით) და 23-ე ქუჩებზე | 10 000 | 4 000 | 13650 | 350 |
| 6 | პატარა ეწერი | სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და ხიდ-ბოგირის მოწყობა | 3000 | 0 | 2925 | 75 |
| 7 | პატარა ეწერი | სასაფლაოს შემოღობვა | 7850 | 0 | 7654 | 196 |
| 8 | პატარა ეწერი | მოსაცდელთან მისასვლელი გზის (ბილიკის) მოწყობა | 1150 | 0 | 1121 | 29 |
| 9 | ოჭოფა | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 10 | კეჭინარი | ხიდ-ბოგირის მოწყობა და მოსაცდელის რეაბილიტაცია | 2000 | 0 | 1950 | 50 |
| 11 | კეჭინარი | სპორტული მოედნის ინფრასტრუქტურის | 10000 | 0 | 9750 | 250 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოწყობა | | | | |
| 12 | გვიმრალა | საბავშვო ბაღის მიმდებარედ გზისპირა მოსაცდელის მოწყობა | 6000 | 0 | 5850 | 150 |
| 13 | გვიმრალა | საწრეტი არხების რეაბილიტაცია და მილ-ბოგირების მოწყობა | 2150 | 0 | 2096 | 54 |
| 14 | გვიმრალა | ამბულატორიის ეზოს ღობის რეაბილიტაცია | 350 | 0 | 341 | 9 |
| 15 | გვიმრალა | სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 3500 | 0 | 3413 | 87 |
| 16 | ჯიქთუბანი | გარე განათების მოწყობა | 9600 | 0 | 9360 | 240 |
| 17 | ჯიქთუბანი | სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | 750 | 0 | 731 | 19 |
| 18 | ჯიქთუბანი | არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 1650 | 0 | 1609 | 41 |
| 19 | ახალსოფელი | ორი საბავშვო სკვერისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი | 11000 | 0 | 11000 | 0 |
| 20 | ახალსოფელი | საწრეტი არხების რეაბილიტაცია | 4500 | 0 | 4388 | 112 |
| 21 | ახალსოფელი | არსებული სპორტული მოედნის ღობის რეაბილიტაცია | 500 | 0 | 488 | 12 |
| 22 | მელაური | ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა | 5000 | 0 | 4875 | 125 |
| 23 | მელაური | გარე განათებისთვის 3 ცალი ლითონის ბოძის მოწყობა | 1400 | 0 | 1365 | 35 |
| 24 | მელაური | საყანე ფართობებთან მისავლელ გზაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა | 3400 | 0 | 3315 | 85 |
| 25 | მელაური | ამბულატორიის ოთახის რემონტი და სველი წერტილების მოწყობა | 2200 | 1 000 | 3120 | 80 |
| 26 | მიწაბოგირა | სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) მონტაჟი | 16000 | 10 000 | 26000 | 0 |
| 27 | ხიბლარი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხებისა და მილ-ბოგირების მოწყობა | 16000 | 0 | 15600 | 400 |
| 28 | დაბა | სპორტული მოედნის | 20000 | 20 000 | 39000 | 1000 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კულაში | რეაბილიტაცია | | | | |
| 29 | ნაბაკევი | სკვერის კეთილმოწყობა | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 30 | ნაბაკევი | მუზეუმის ქუჩის ხიდ-ბოგირზე მოაჯირის მოწყობა | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 31 | ჩხენიში | ე.წ. მაღლა გორის უბანში სკვერის მოწყობა | 11000 | 0 | 10725 | 275 |
| 32 | ჩხენიში | ცენტრალურ ქუჩაზე არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 3000 | 0 | 2925 | 75 |
| 33 | ჩხენიში | სპორტული მოედნისთვის ინვენტარის შეძენა | 1000 | 0 | 1000 | 0 |
| 34 | ჩხენიში | არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 1000 | 0 | 975 | 25 |
| 35 | ხუნჯულაური | სოფლის ცენტრში არსებული მინი-სტადიონის რეაბილიტაცია | 0 | 12 000 | 11700 | 300 |
| 36 | ხუნჯულაური | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 8000 | 0 | 7800 | 200 |
| 37 | ხუნჯულაური | არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 38 | ნინუაკუთხე | სოფლის ცენტრში არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 39 | ნინუაკუთხე | ე.წ. ნაბუტკოს უბანში არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 40 | ნინუაკუთხე | არსებულ მინი-სტადიონზე ორი ერთეული ღამის განათების დამატება | 2000 | 0 | 1950 | 50 |
| 41 | კვირიკე | არსებულ მინი სტადიონზე ღამის განათების მოწყობა და ღობის რეაბილიტაცია | 7000 | 0 | 6825 | 175 |
| 42 | კვირიკე | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 5000 | 0 | 4875 | 125 |
| 43 | ღანირი | გარე განათების მოწყობა | 20000 | 0 | 19500 | 500 |
| 44 | ჭაგანი | გარე განათების მოწყობა | 16000 | 0 | 15600 | 400 |
| 45 | დაფნარი | სანიაღვრე არხების გაჭრა-ამოწმენდა | 3800 | 0 | 3705 | 95 |
| | | სანიაღვრე სისტემისთვის | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 46 | დაფნარი | პოლიეთილენის გოფრირებული 300 მმ დიამეტრის მილების შეძენა | 1600 | 0 | 1600 | 0 |
| 47 | დაფნარი | გარე განათების მოწყობა | 10600 | 0 | 10335 | 265 |
| 48 | დაბლა გომი | გარე განათების მოწყობა | 13000 | 0 | 12675 | 325 |
| 49 | დაბლა გომი | წყლის სისტემის სარეაბილიტაციოდ მასალების შეძენა (63მმ-იანი 700 გრძ/მეტრი პოლიეთილენის მილის და 6 ცალი გადასაბმელის შეძენა) | 3000 | 0 | 3000 | 0 |
| 50 | კეთილაური | გზის გაფართოება-რეაბილიტაცია | 9500 | 0 | 9263 | 237 |
| 51 | კეთილაური | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 200 | 0 | 200 | 0 |
| 52 | კეთილაური | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 53 | ცივწყალა | გზის მოხრეშვა-მოტკეპნვა 400 კბ/მ ბალასტით | 9000 | 0 | 8775 | 225 |
| 54 | ცივწყალა | გზაზე რკინა-ბეტონის ცხაურის მოწყობა (6 გრძ/მეტრი) | 700 | 0 | 683 | 17 |
| 55 | ცივწყალა | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 56 | გომმუხაყრუა | სოფელ დაბლა ეწერის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 6500 | 0 | 6338 | 162 |
| 57 | გომმუხაყრუა | გარე განათების მოწყობა | 5000 | 0 | 4875 | 125 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 58 | გომმუხაყრუა | გომის საბავშვო ბაღის წყალმომარაგებისთვის მასალების შეძენა | 500 | 0 | 500 | 0 |
| 59 | გომნატეხები | გზის მოხრეშვა 1300 გრძ/მეტრზე 450 კბ/მ ბალასტით | 4500 | 0 | 4388 | 112 |
| 60 | გომნატეხები | სკვერის შემოსაღობად მასალების (მილ-კვადრატი, ცემენტი, ქვიშა-ღორღი, ფიცარი) შეძენა | 6500 | 0 | 6500 | 0 |
| 61 | გომნატეხები | გარე განათების მოწყობა | 1000 | 0 | 975 | 25 |
| 62 | მთისძირი | გარე განათების მოწყობა | 5700 | 0 | 5558 | 142 |
| 63 | მთისძირი | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 64 | მთისძირი | სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) მონტაჟი | 10000 | 16 000 | 26000 | 0 |
| 65 | კორმაღალი | გარე განათების მოწყობა | 6000 | 0 | 5850 | 150 |
| 66 | კორმაღალი | სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 5400 | 0 | 5265 | 135 |
| 67 | კორმაღალი | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 68 | კორმაღალი | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 69 | დობირო | გარე განათების მოწყობა | 4200 | 0 | 4095 | 105 |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 70 | დობირო | სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 5200 | 0 | 5070 | 130 |
| 71 | დობირო | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 72 | დობირო | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 73 | დაბლა ეწერი | გარე განათების მოწყობა | 3000 | 0 | 2925 | 75 |
| 74 | დაბლა ეწერი | სოფელ დაბლა ეწერის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 75 | დაბლა ეწერი | სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 2700 | 0 | 2605 | 95 |
| 76 | დაბლა ეწერი | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 77 | ზედა ეწერი | გარე განათების მოწყობა | 5200 | 0 | 5070 | 130 |
| 78 | ზედა ეწერი | სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 6200 | 0 | 6045 | 155 |
| 79 | ზედა ეწერი | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| | | სოფელ მთისძირში, | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 80 | ზედა ეწერი | საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 81 | საჯავახო | გარე განათების მოწყობა | 14000 | 3 000 | 16575 | 425 |
| 82 | საჯავახო | საკირეს უბანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 2000 | 0 | 1930 | 70 |
| 83 | ჭოგნარი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა და მილ-ბოგირების მოწყობა) | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 84 | პირველი ნიგორზღვა | სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა | 6500 | 8 000 | 14138 | 362 |
| 85 | პირველი ნიგორზღვა | გზისპირა მოსაცდელის მოწყობა კიკვაძეების უბანში | 5500 | 0 | 5363 | 137 |
| 86 | მეორე ნიგორზღვა | ე.წ. მეწყნარის უბანში გარე განათების მოწყობა | 7000 | 0 | 6825 | 175 |
| 87 | მეორე ნიგორზღვა | სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია | 3000 | 10 000 | 12675 | 325 |
| 88 | ტოლები | შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 89 | ზემო ტოლები | წყლის სათავე ნაგებობისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა | 10000 | 0 | 9650 | 350 |
| 90 | ქვემო ნოღა | გარე განათების მოწყობა | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 91 | ზემო ნოღა | შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა ეცადეიშვილების და გოგავების უბნებში | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 92 | ვაზისუბანი | ე.წ. გადაღმა ვაზისუბნის და ბინებისკენ მიმავალი გზის მოხრეშვა | 16000 | 0 | 15600 | 400 |
| 93 | ბუღნარა | ე.წ. მორეშავის უბანში გარე განათების მოწყობა | 7000 | 0 | 6825 | 175 |
| 94 | ბუღნარა | არსებული სტადიონის შემოსაღობად მასალების შეძენა | 5000 | 0 | 5000 | 0 |
| 95 | ქორეისუბანი | გზის მოხრეშვა | 10000 | 0 | 9750 | 250 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 96 | დიდი ოფეთი | წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და წყლის სისტემის დაზიანებული მონაკვეთების შეცვლა | 10000 | 10 000 | 19300 | 700 |
| 97 | პატარა ოფეთი | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 10000 | 10 000 | 19300 | 700 |
| 98 | ნაწილი ოფეთი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 99 | მტერჩვეული | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 100 | წიაღუბანი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 101 | თხილაგანი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 102 | გორმაღალი | საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 103 | გორმაღალი | სკვერის მოწყობა ქვაყუდის უბანში | 4000 | 8 000 | 11700 | 300 |
| 104 | გამოჩინებული | გარე განათების მოწყობა | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| | | | **660 000** | **118 000** | **760 129** | **17 871** |

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

***დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას. ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ, განხორციელდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №55,

სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

განსახილველი №55 დადგენილებით ცვლილება შევიდა მერიის დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახური“. საგულისხმოა, რომ განსახილველი №56 დადგენილებით დამტკიცებული ცხრილის მიხედვით, ხსენებული სამსახურის სახელწოდებაა „ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური“, ხოლო განსახილველი №50 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახური“. ამდენად, მოცემული სახელწოდებები უნდა იქნეს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანილი.

გარდა ამისა, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ მერიის დებულებაში, მე-18 და 27-ე მუხლებში ჩარჩენილია ტერმინები „გამგეობა/გამგებელი“, რომლებიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უნდა შეიცვალოს ტერმინებით „მერია/მერი“. ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ განსახილველი №48, №50, №51, №52, №53, №54, №55 და №56 დადგენილებების სტრუქტურა სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით არასწორად არის შედგენილი. კერძოდ, „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის გათვალისწინებით, ნორმატიულ აქტში ჯერ მოცემული უნდა იყოს პრეამბულა (სადაც მითითებულია რომელი ნორმატიული აქტის შესასრულებლად გამოიცა იგი) და შემდგომ მუხლები. შესაბამისად, მართებული არ არის აქტის პირველ მუხლში მიეთითოს პრეამბულისთვის განსაზღვრული დებულებები (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმების ჩამონათვალი). ხსენებული განსახილველი დადგენილებების პრეამბულებში „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის სტატუსი მითითებულია არასწორად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N : 62-622213881, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. გათვალისწინებული იქნა ზემოთ აღნიშნული შენიშვნები და მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

***/დადგენილება თან ერთვის /***

***დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ, განხორციელდა ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაზე სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

განსახილველი №51 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებულ სამსახურის დებულებაში და „შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებას" გადაერქვა სახელწოდება, თუმცა ამავე დანართის მე-6 მუხლის სათაურსა და პირველ წინადადებაში მოცემული განყოფილების სახელწოდება არ შეცვლილა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N : 62-622213881, წერილობითი მომართვის საფუძველზე, საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. გათვალისწნებული იქნა აღნიშნული ხარვეზი და მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

***/დადგენილება თან ერთვის/***

***დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N : 62-622213881, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება , ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №31 დადგენილებაში. კერძოდ, განსახილველი №54 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სამტრედიის

მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №31 დადგენილებით დამტკიცებულ სამსახურის დებულების პირველ მუხლში, თუმცა მოცემული ცვლილება უნდა განხორციელებულიყო დებულების მე-2 მუხლში. მოცემული ხარვეზის საფუძველზე პირველ და მე-2 მუხლებში სამსახურის სტრუქტურა და განყოფილებების რაოდენობა სხვადასხვაა, რაც ექვემდებარება ჩასწორებას.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

***/დადგენილება თან ერთვის/***

***დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განსახილველი №52 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებულ სამსახურის დებულებაში და სამსახურის განყოფილების სახელწოდება მითითებულია შემდეგი სახელწოდებით: „ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის, ეკონომიკური სტატისტიკის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება“, მაშინ როცა განსახილველი №56 დადგენილებით დამტკიცებული ცხრილის მიხედვით, ხსენებული განყოფილების სახელწოდებაა „ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვის განყოფილება“.

შესაბამისად, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N:62-622213881, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/დადგენილება თან ერთვის/*

***დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განსახილველი №49 დადგენილებით დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულება, რომლის მე-5 მუხლის მე-17 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-11 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით ხსენებულ სამსახურს (განყოფილებებს) შეუძლია შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა საგულისხმოა, რომ ამავე კოდექსის 36 , 148-ე მუხლის პირველი და 1 მე-2 ნაწილებით და 152-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დროს კოდექსი არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ჩართულობას. შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მართებულია დამატებით იმსჯელოს სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-17 პუნქტში, მე-8 მუხლის მე-11 პუნქტსა და მე-9 მუხლის მე-13 პუნქტში მითითებულ ნორმებთან მიმართებაში მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილების თაობაზე.

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N : 62-622213881, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/დადგენილება თან ერთვის/*

***დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წარმოდგენილ დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სამართლებრივი

ზედამხედველობით და **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N : 62-622213881, წერილობითი მომართვით. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში გათვალისწინებული იქნა შესაბამისი შენიშვნები.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

***/დადგენილება თან ერთვის /***

***დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის შესახებ’’.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოში შემოვიდა **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 18 მაისის** N:62-622213883, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის საკითხს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად დადგინდეს: ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესი (დანართი №1). სადაც დეტალურად განსაზღვრულია **რეგულირების სფერო, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის ამოცანები, საერთო მოთხოვნები ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრის მიმართ, პარკირების სახეობები და ორგანიზება, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასური და მისი განსაზღვრის წესი, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა, პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე, პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საერთო წესები, იმ ავტომანქანების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილების განსაზღვრა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტის**

**საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე, წესის დარღვევა და პარკირების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება.**

აზრი გამოთქვეს: გივი ჯულაყიძემ, კობა ძიძიგურმა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრეზენტაცია გააკეთა ემელიანე კილაძემ.

მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას დაინტერესებისთვის და აღნიშნა, რომ ჩვენ ვართ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია პარკირებასთან დაკავშირებით. პარკირების ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით შეგვექმნა გარკვეული სამართლებრივი წინააღმდეგობა, რისთვისაც აუცილებელი გახდა წარმოდგენილი დადგენილების მიღება. სამართლებრივი ბაზა და სფერო ამით მოწესრიგდება. ჩვენი მიზანია ქალაქ სამტრედიაში იდიალურად იყოს მოწესრიგებული პარკირების სიტუაცია. 2021 წლის იანვარში გამოცხადდა აუქციონი, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ, გაიმარჯვა შ.პ.ს. ,,tech Suppli’’-მ და დავიწყეთ მუშაობა პარკირებასთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს გარკვეული ინოვაციები პარკირებასთან დაკავშირებით, რომლის დანერგვასაც ვაპირებთ მუშაობის პერიოდში. კერძოდ, ტექნოლოგიური დახმარებები, ავტომობილების პარკირების ციფრული პლათფორმა, შეგვეძლება წინასწარ ადგილის დაჯავშნა, პარკირების საშვის შეძენა, პროგრამა ჩართული იქნება ერთიან ქსელში და მომხმარებელს არ მოუწევს სხვადასხვა კომპანიებთან ურთიერთობა. ამ ეტაპისათვის სამტრედიაში არ იგეგმება საჯარიმო სანქციები, ეს უფრო მომავლის გეგმებში გვაქვს. პარკირების საფასური დადგენილებით იქნება გაწერილი და ჩვენს კომპანიას შეეძლება ზედა ზღვარის თანხებში მოქნილი ტარიფი შეარჩიოს. გათვალისწინებული იქნება სოციალური მდგომარეობა და კომპანია შეეცდება გარკვეული შეღავათების გაწევას შ.შ.მ. პირებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. მართალია ჩვენ 2021 წელს გავიმარჯვეთ, მაგრამ გვაქვს იურიდიული დავა მუნიციპალიტეტის მერიასთან. გარკვეული საკითხები არ იყო მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე. მოგებული გვაქვს 22 საკადასტრო კოდით განსაზღვრული პარკირების ადგილი, რომელიც დასაზუსტებელია. ვცდილობთ მორიგებას და ვნახოთ სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომ, იმედი მაქვს ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენი მხრიდან ვეცდებით, რომ მოწესრიგდეს პარკირება სამტრედიაში.

გივი ჯულაყიძე - ვთვლი, რომ საჯარიმო სანქციები უნდა განხორციელდეს, ვინაიდან პარკირების ცუდ გადამხდელს არ ექნება განცდა, რომ თუ ცუდად დატოვებს ავტომობილს, დაჯარიმდება. ეს თუ არ გვექნა ჩემი აზრით, სისტემა ვერ იმუშავებს. დაუსჯელობის სინდრომი არ იყოს ხალხში.

კობა ძიძიგური - ჩვენს ქვეყანაში მთლად ისე არ არის მოწყობილი კანონმდებლობა, რომ ვეტერანებს რაიმე ხელშეწყობა და შეღავათები ქონდეს. მინდა გთხოვოთ, იქნებ გავითვალისწინოთ საქართველოს კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვეტერანებისათვის გარკვეული შეღავათი.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დადგენის შესახებ’’.

***/დადგენილება თან ერთვის/***

***დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი,

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მესამე პირებისათვის, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას, ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად დადგინდეს, სამტრედიის მუნიცპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის ზედა ზღვარი დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა.ა) 1 საათამდე პერიოდი - 50 (ორმოცდაათი) თეთრი;

ა.ბ) 3 საათამდე პერიოდი - 1 (ერთი) ლარი;

ა.გ) ყოველი შემდეგი 1 (ერთი) საათი - 50 (ორმოცდაათი) თეთრი;

ბ) 1 დღე - 2 (ორი) ლარი;

გ) 7 დღე - 5 (ხუთი) ლარი;

დ) 30 დღე - 10 (ათი) ლარი;

ე) 182 დღე - 25 (ოცდახუთი) ლარი;

ვ) 365 დღე - 40 (ორმოცი) ლარი;

- დადგინდეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასური, დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა) ტაქსებისათვის:

ა.ა) 1 დღე - 1 (ერთი) ლარი;

ა.ბ) 10 დღე - 10 (ათი) ლარი;

ა.გ) 20 დღე - 20 (ოცი) ლარი;

ა.დ) 30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი.

ბ) სატვირთო ავტომობილებისა და სპეცტექნიკისათვის:

ბ.ა) 1 დღე - 3 (სამი) ლარი;

ბ.ბ) 30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი;

ბ.გ) 182 დღე - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი;

ბ.დ) 365 დღე - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.

გ) საინკასაციო მომსახურების ავტომობილებისათვის: 365 დღე - 1000 (ათასი) ლარი;

დ) საჯარიმო (დაცულ) სადგომზე ავტომობილის გადაყვანა - 40 (ორმოცი) ლარი;

ე) საჯარიმო (დაცულ) ავტოსადგომზე განთავსების ღირებულება - გადაყვანიდან 24 საათი განმავლობაში უფასო, ხოლო, ყოველი შემდგომი დღე - 2 (ორი) ლარი.

- ცნობად იქნეს მიღებული, რომ პარკირების საფასურის გადახდა განხორციელდება პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირის მიერ შერჩეულ კომერციულ ბანკში, ელექტრონული გადახდის საშუალებების ან კანონით დაშვებული სხვა ნებისმიერი ფორმით.

აზრი გამოთქვეს: გივი ჯულაყიძემ, აკაკი მინაშვილმა და გოჩა არველაძემ.

გივი ჯულაყიძე - წარმოდგენილი დებულების შესაბამისად, ვადგენთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურს, დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ტაქსებისათვის: 1 დღე - 1 (ერთი) ლარი და სატვირთო ავტომობილებისა და სპეცტექნიკისათვის: 365 დღე - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, მიმაჩნია, რომ ძალიან ძვირია ეს გადასახადი და მაქვს წინადადება რომ ტაქსებისათვის განისაზღვროს წელიწადში 60 ლარის ოდენობით.

აკაკი მინაშვილი- ვეთანხმები გამომსვლელ, რომ ტარიფი მაქსიმალურია და ძვირია, მაგრამ წელიწადში 60 ლარი მიმაჩნია, რომ ძალიან დაბალია.

გოჩა არველაძე - მიმაჩნია, რომ პარკირების საფასურის გადახდა, ტაქსებისათვის დღეში 1 ლარი არ უნდა იყოს მაღალი. ვინაიდან მძღოლებმა მგზავრობის საფასური, საწვავის გაძვირებასთან ერთად, საკმაოდ გაზარდეს.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მესამე პირებისათვის, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას, ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ''.

***/დადგენილება თან ერთვის /***

***დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლიზა კრავეიშვილის 2022 წლის 19 მაისის N:19/63221396-63** განცხადება. განმცხადებელი გამოთქვამს სურვილს გახდეს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნას ცვლილება **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში.**

**,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის** პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. გიორგი ლეჟავა - თავმჯდომარე.

2. ადეიშვილი ზაზა.

3. გრიგოლია ლაშა.

4. დვალიშვილი ტარიელ.

5. კრავეიშვილი ლიზა.

6. მჟავია ილია.

7. პაპავა ნათია.

8. ჩორგოლაშვილი ლელა.

9. ძიძიგური კობა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

***დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვალდებულებას კერძოდ, ,,მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იმავდროულად შეიძლება იყოს სხვა კომისიის შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა'', **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, 2022 წლის მაისის N:63-63221453** განცხადების საფუძველზე, გამოთქვა სურვილი იმუშაოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაში.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად შეტანილ იქნას ცვლილება **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და**

**ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133718 განკარგულებაში.**

**,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის** პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. ირაკლი მელაშვილი - თავმჯდომარე.
2. არველაძე გოჩა.
3. ბარბაქაძე მარიამ.
4. დვალიშვილი ტარიელ.
5. თევზაძე ბექა.
6. თევზაძე ჯონი.
7. ლეჟავა გიორგი.
8. მინაშვილი აკაკი.
9. მჟავია ილია.
10. პაპავა ნათია.
11. ტალაბაძე მაია.
12. შენგელია ბადრი.
13. ჩიგოგიძე გრიგოლ.
14. ჩორგოლაშვილი ლელა.
15. ჯამბურია ნუგზარ.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

***დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ’’.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **2022 წლის 25 მაისის N** 63-6322145001 განცხადებით მოგვმართა, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ. განმცხადებელი ითხოვს,** 2022 წლის 13 ივნისიდან კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში

გასვლას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან,** ნუგზარ ჯამბურიასთან, 2022 წლის 13 ივნისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ვაჟა სტურუას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ’’.

***დღის წესრიგის XX საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო’’-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ’’.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოში, 2022 წლის 31 მაისის N:63-63221512 განცხადებით, შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს’’ თავმჯდომარის მოადგილე, ილია მჟავია. განმცხადებელი ითხოვს, 2022 წლის 8 ივნისიდან კუთვნილ, ანაზღაურებად, შვებულებაში გასვლას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს''-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ილია მჟავიასთან, 2022 წლის 8 ივნისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო’’-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ’’.

***დღის წესრიგის XXI საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ლევან

ახობაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან მაისის ჩათვლით, სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამების დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 1 087 800 ლარს, მიმდინარე წლის 24 მაისის მდგომარეობით ბიუჯეტი გაიზარდა და განისაზღვრა 1 305 800 ლარის ოდენობით. 2022 წლის 1 იანვრიდან 24 მაისის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემოვიდა 2200-მდე განცხადება, დახმარება პროგრამების მიხედვით გაეწია 1980 ბენეფიციარს, ხარჯი შეადგენს 639 000 ლარს.

1. ახალშობილთა დახმარება (მუხლი 5) -108 ბენეფიციარი.
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (მუხლი 14) -123 ოჯახი, ყოველთვიური.
3. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა (მუხლი 10) -33.
4. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება; (მუხლი 7) – 1.
5. მარტოხელა მშობელთა დახმარება (მუხლი 2) -10.
6. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება; (მუხლი 1), -700.
7. შ.შ.მ. პირების ფინანსური დახმარება; (მუხლი 16)-231.
8. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება (მუხლი 18) -1.
9. მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება; (მუხლი 9) - 8.
10. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება (მუხლი 8) -74.
11. ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 11) - 46.
12. სტუდენტების დახმარება; (მუხლი 3) -18.
13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17. 2, 3 პუნქ) -212.
14. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება (ტრანსპორტირებისათვის) (მუხლი 12) -50, ყოველთვიური.
15. დედმამით ობოლ ბავშვთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 4) -16, ყოველთვიური.
16. ლეიკემიით, ცერებლალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 13) -70, ყოველთვიური.
17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17. 1 პუნქ) – 36, ყოველთვიური.
18. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (მუხლი 25) -33, ყოველთვიური.
19. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი . (მუხლი 20) -3, ყოველთვიური.
20. მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება (მუხლი 25) -28.
21. ამანათების შეძენა უდედმამო ბავშვებისთვის, , სოციალურად

დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და შეჭირვებული ოჯახებისთვის (მუხლი 30) –250.

აღნიშნულის გარდა **18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. (მუხლი 21) (სუბსიდიის სახით)** პროგრამით დღის ცენტრ ლამპარს, ვუფინანსებთ კომუნალურ და ტრანსპორტირების ხარჯებს, ასევე ხდება წითელი ჯვრის თანადაფინანსება.

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

აზრი გამოთქვა: გიორგი ლეჟავამ, ტარიელ დვალიშვილმა, გივი ჯულყიძემ, ნუგზარ ჯამბურიამ.

გიორგი ლეჟავა - მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახური, სპეციალური ჩვენს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად მუშაობს. 6 თანამშრომელი წლების განმავლობაში, ეხლა დაემატა 3 თანამშრომელი, ბავშვთა დაცვის განყოფილების დამატებასთან დაკავშირებით. ყოველწლიურად ვისმენთ აღნიშნული სამსახურის ანგარიშს. ჩვენი ფუნქციაა ვაკონტროლოთ ის თანხები და მათი მიზნობრივი ხარჯვა. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ არც ერთი თეთრი სხვა მიმართულებით, არც ერთი გადახრით, მიზნობრივად მუშაობენ. მე მადლობას ვუხდი ბატონ ლევანს და მის თანამშრომლებს. გულდასაწყვეტია, რომ ამ 6 თანამშრომლიდან, 2 თანამშრომელი წლებია მე-4 რანგის სპეციალისტია და ითხოვს გამუდმებით, რანგის მომატებას. დახმარებას მთხოვს მე, როგორც კომისიის თავმჯდომარეს. მერიის წინაშე ვაყენებ ამ საკითხს, მაგრამ წლებია ეს გადაუჭრელი პრობლემაა. კიდევ ერთხელ ვთხოვ მერიას, რომ იმსჯელოს და ამ ადამიანებს უთხრას, იმსახურებენ თუ არა რანგის მომატებას. პასუხი ასეთი იყო, რომ სამსახურის უფროსმა უნდა წარადგინოს ეს პიროვნებები რანგის ცვლილებასთან დაკავშირებით. ბატონი გიორგი მეიშვილი საქმის კურსშია აღნიშნულთან დაკავშირებით. ძალიან მინდა გათვალისწინებული იქნას ჩვენი თხოვნა. ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ ყოველგვარი პოლიტიკა და პოლიტიკური შეხედულებები გამორიცხულია. არც საკუთარ თავს ვაკადრებ და არც პიროვნებას ვკითხო, როგორი პოლიტიკური შეხედულებისაა. ჩემი თხოვნა იქნება სამსახურის ხელმძღვანელთან, მუდმივ ძიებაში იყოს ახალ პროექტებთან დაკავშირებით. გამოვიყენოთ სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილება და პროგრამები გავაუმჯობესოთ, როგორც შინაარსობრივად ასევე ხარისხობრივად.

ტარიელ დვალიშვილი - ვეთანხმები ბატონ გიორგის მოხელეთა რანგირებასთნ დაკავშირებით. გავითვალისწინოთ მათი გამოცდილება და დავაფასოთ მათი შრომა.

გივი ჯულაყიძე - მადლობა მინდა გადავუხადო პირადად ბატონ გიორგის და ბატონ ლევანს, მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის. ნამდვილად არ ყოფილა შემთხვევა, ვინმე დაებლოკოთ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. მათთან ვინც მისულა, უკან დახმარების გარეშე არ დაბრუნებულა.

აკაკი მინაშვილი - მადლობა ლევან ახობაძეს და მის კოლექტივს გაწეული მუშაობისათვის. არც ჩემს შემთხვევაში ყოფილა რაიმე სახის წინააღმდეგობა ან გაურკვევლობა სხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე მოქალაქეებთან მიმართებაში. ერთი შენიშვნა კი მაქვს წითელი ჯვრის თანამშრომლებთან. კერძოდ ამანათების დარიგების დროს გამოავლინეს მათი უარყოფითი დამოკიდებულება სხვა პოლიტიკური შეხედულების ადამინების მიმართ.

ნუგზარ ჯამბურია - ჩვენი ეგიდით, უმრავლესობით, მე-3 მოწვევის საკრებულოა, 2022 წლის 6 ივნისია, პირველად მესმის დღეს ოპოზიციის მხრიდან რომ, ისინი მადლობას გამოთქვამენ სამსახურის და მისი ხელმძღვანელის მიმართ. ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების ადამიანს, ჩვენი

ვალდებულებიდან გამომდინარე, გავუწიოთ შესაბამისი სამსახური. ბატონო ლევან ვუერთდები საზოგადოების თქვენდამი გამოთქმულ მადლობას.

ასევე მინდა ვუპასუხო ბატონ გიორგის და საკრებულოს იმ წევრებს რომლებმაც აღნიშნეს საჯარო მოხელეების რანგირებასთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია. სამსახურის ხელმძღვანელი, თავისი სამუშაო გეგმის შესაბამისად, საჯარო მოხელეს მიერ შესრულებული სამუშოს ხარისხისა და ოდენობის გათვალისწინებით, მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შესაბამისად, წელიწადში მინიმუმ ერთჯერ და მაქსიმუმ ორჯერ(საკრებულოს აპარატის თანამშრომლები შეფასებული არიან წელიწადში ორჯერ) ახდენს შეფასებას. შეფასების შედეგების შესაბამისად, საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილების თანახმად, ხელმძღვანელი ახდენს თანამშრომლის კარიერულ წინსვლას, უმატებს რანგს ან პირიქით, აქვეითებს მას. ეს გადაწყვეტილება აუცილებლად მისაღებია სამსახურის ხელმძღვანელის მიერ. თქვენ დღესვე შეგიძლიათ ნახოთ ან გამოითხოვოთ აპარატიდან, თუ რამდენი სხდომაა ჩატარებული ამ საკითხთან დაკავშირებით. რამდენიმე თვის წინ, ჩვენი აპარატის საჯარო მოხელემ, მონაწილეობა მიიღო გარკვეულ ღონისძიებაში და ჩემი ბრძანების შესაბამისად, გამოეცხადა მადლობა, რომელიც საინფორმაციო დაფაზე იყო გამოკრული. ამით იმის თქმა მინდა, რომ უშუალოდ სამსახურის უფროსის პრეროგატივაა თავის სტრუქტურაში მომუშავე პერსონალის წახალისება და რანგირება.

***დაადგინეს:*** ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან მაისის ჩათვლით, სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

***სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე***

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი